№ 13 18 იანვარი, ხუთშაბათი 1866—1879 18 იანვარი, ხუთშაბათი № 13

**რედაქცია:** სოლოლაკზე, ბალის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

**ხელის-მოწერა** მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

**გაზეთის ფასი** მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—5 მან., სამის თვის—3 მან., ერთის თვისა—1 მან.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

# დროება

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

**ფასი განცხადებისა:** დიდი ასოებით ხაზზე—1 კაპ., [illegible] სტრიქონზე—8 კაპ. [illegible] ცეროთი—5 კაპ., პატარათი—4 კაპ.

**რედაქციას უფლება** აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

## ამ 1879 წელს გაზეთი

## „დროება“

გამოვა მუდამ დღე და იმავე მიმართულებითა და პროგრამმით, როგორც აქამდინ გამოდიოდა.

**ხელის-მოწერა**

თფილისში მიიღება რედაქციაში, ბალის ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა გაზეთი ამ ადრესსით უნდა დაიბარონ: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.*

**გაზეთის ფასი**

| | |
|---|---|
| მთელის წლისა — — | 8 მან. |
| ექვსის თვისა — — — | 5 მან. |
| სამის თვისა — — — | 3 „ |
| ერთის თვისა — — — | 1 „ |

მხოლოდ ამ ვადებით შეიძლება გაზეთის დაბარება.

ფული გაზეთის დაბარებისა-თანავე უნდა იქმნეს რედაქციაში წარმოდგენილი.

# ტელეგრამმები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

**პეტერბურღი,** 16 იანვარს. დოქტორი კრასოვსკი იწერება ასტრახნიდამ, რომ ვეტლიანკის სტანიცაში ავათმყოფობა აღარ არისო. ასტრახნის ღუბერნატორმა გამოაცხადა ყველა სოფლებში და სტანიცებში, რომ ყველა მცხოვრებელს, ვინც, ექიმის ანუ პოლიციმეისტრის მოთხოვნილებით, დასწვავს შავის-ჭირით მიცვალებულების ტანთსაცმელსა და ქვეშსაგებს, სამაგიერო ფული, ან ტანთსაცმელი მიეცემა ხაზინიდამაო.

პროფესსორმა ბოტკინმა გამოაცხადა, რომ პეტერბურღში არის გადამდები ავათმყოფობა.

**ბერლინი,** 15 იანვარს. „ზოლოსის“ დეპეშა: აქ გადაწყვეტილია, რომ სამზღვრები შეჰკრან და დააყენონ სამზღვრებზე 80,000 ჯარი ყარაულად, რომ რუსეთიდამ არაფერი შემოიტანონ და ამნაირად დაიცვან ქვეყანა იმ ჭირისაგან, რომელიც რუსეთში არისო.

**პარიჟი,** 14 იანვარს. ამბობენ, ვითომც სამინისტროს დღევანდელს რჩევაზედ მაკ-მაჰონმა გამოაცხადაო, რომ ის უფრო ამჯობინებს რესპუბლიკის პრეზიდენტობას დაანებოს თავი, ვინემ დათანხმდეს იმაზე, რომ გამოცვლილი იქმნენ ახლანდელი ჯარის უმთავრესი კამანდირები.

**ბერლინი,** 14 იანვარს. რეიხსტაგი 12 თებერვლისათვის არის მოწვეული. დღეს საკავშირო რჩევაში მოლაპარაკება იყო იმაზედ, თუ რა ღონის-ძიება უნდა იხმარონ იმისთვის, რომ შავი-ჭირი არ გავრცელდეს გერმანიაში რუსეთიდამ.

**პეტერბურღის ბირჟა,** 12 იანვარს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის საგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — — | 95—62 |
| მეორე— — — — — — | 94—75 |
| მესამესი — — — — | 95— „ |
| მეოთხესი — — — — | 95— „ |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92—50 |
| აღმოსავლეთის მეორე— | 91—50 |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 8—72 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი— — | „— „ |

| შინაგანი 5% სესხის ბილეთები | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 230— „ |
| მეორე სესხის — — — | 231— „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 23—12 | პენსი |
| ამსტერდამი— — | 116— „ | ცენტი |
| ბერლინი— — — | 196—25 | პფენიგი |
| პარიჟი — — — | 242—50 | სანტიმი |
| კავკასიის კერასინი— | 2—10 — | |

# ფელტონი

## სურათი ყმაწვილი ქალის ცხოვრებიდგან

### I

(ევროპიულად მორთული ოთახი. ერთ კუნჭულში სდგას ტახტი. მდივანზე ზის ელენე და წიგნსა კითხულობს. ტახტზე ზის ქალია და აბრეშუმს ართავს).

ქალია. ძალა მაგდენი კითხვა! რით ვერ ამოიკითხე ეგ საოხრო ისტორიეები? მეც ადამიანი ვარ, ერთი ხმა გამეცი და.

ელენე. რა გნებავთ, დედა, რაზედ გელაპარაკოთ? უქმელია, მე რასაც გეტყვით, თქვენ სხვანაირათ ახსნით და ბოლოს ჩვენი ლაპარაკი ჩხუბათ გადაიქცევა. ისევ ისე სჯობია ჩუმათ ვისხდეთ და ჩვენი საქმე ვაკეთოთ.

ქალია. მეხი კი დაგეცა მაგ თავზე!. არა, რა უკუღმური დედაკაცი მე მნახე, რომ შენთან ლაპარაკი ველარ გავიგო! შენისთანა იყო ბოროგი კნიაზ, შენმა მზემა, რომ მთელი საათობით მელაპარაკებოდა ხოლმე..

ელენე. ეს წიგნი უთუოთ დღეს უნდა გავათაო, და თუ შეიძლება, დამაცალეთ, გიხვეწებით.

ქალია. ბათაო, ვინ იცის სამხთო წერილის წიგნებს კითხულობ! სულ იმ წიგნებს კითხულობ: ეს იმან შეიყვარაო, ეს იმანაო, ის კლდეზე გადავარდა სიყვარულითაო და კისერი მოიტეხაო, იმან საწამლავი დალია და თავი მოიკლაო! მართალია, დილიდგანვე ჟამნს დაადგები და სულისათვის იზრუნებ!

ელენე. ოხ, ღმერთო, რა უბედურობაა, რომ კაცმა თავისუფლათ წიგნი ვერ წაიკითხოს! ჟამნი თქვენ იკითხეთ, სულისთვის თქვენ იფიქრეთ და მე თავი დამანებეთ.

ქალია. მეხი კი დაგეცა მაგ თავზე, დარიგებასაც მაძლევ!

ელენე. ბატონო, დამანებეთ თავი თქვენი ხვთის გულისათვის!

ქალია. საწყალი, გული შეგიწუხდა? აბა ბიჭბუჭები, სტუდენტები გელაპარაკებოდნენ, მაშინ ლაპარაკით ხომ ყურებამდინ გაიტანდი ტუჩებსა!

ელენე. ღმერთო, რა ჯოჯოხეთია, საით გადავარდე, როგორ მოვისვენო..

ქალი. წადი, უუსებთან ილაზღანდარე, გულმა ეგება მოგისვენოს..

ელენე. კმარა, შენიჭირიმე, კმარა. ყოველ დღე ეს ამბავი საშინელებაა. ერთი წელიწადია რაც პანსიონიდგან გამოველ და ყოველ წამს ამ დღეში ვარ, მოთმინებას საზღვარი აქვს..

ქალი. ყურებზე კი ხახვი არ დამაჭრა.

ელენე. (გადააგდებს წიგნსა). ღმერთმა კი შეარცხვინოს ამისთანა სიცოცხლე.

(ამ დროს შემოვა ფოჩტალიონი).

ქალი. (წასწვდება კონვერტს). აქ მომეც.

ელენე. ჩემთან გახლავთ. (დახედავს წიგნს, ძრიელ გაეხარდება და ფოჩტალიონს თეთრს აბაზს აძლევს). გმადლობ! (ფოჩტალიონი გავა).

ქალია. ეგ რა ჰქენი? აბაზი და ფოშტალიონი ვის გაუგონია! ოხერი ფულები გაქვს! ერთი შაური ვერ გამიმეტნია რომ ბაშმაკი დავიკერებინო..

ელენე (მხიარულად). ეგ წიგნზეა, დედილო, დამოკიდებული. ზოგიერთი წიგნი ისე სასიამოვნოა, რომ მანათიც არ არის დასაშური მომტანისთვის.

ქალია. აბა ერთი მიჩვენე—რა გესიამოვნა ეგრეთი?

# საქართველო

## ჩვენ და ჩვენი „დროება“

დღემდის ჩვენ გაზეთს „დროებას“ არც შემთხვევა ჰქონია, არც გარემოება, რომ წლის თავიდანვე განემარტა ცხადათ, გარკვევით თავისი ურთი-ერთობრივი დამოკიდებულება იმ გარემოებასთან, რომელშიაც ჩამდგარია, ან რას საკუთრათ მისდევს, ვისი იმედი აქვს, ან რა დროშას ატარებს? მომეტებული ნაწილი ჩვენი თვალ-ახელილ მკითხველებისა ხშირათ აძლევდენ თავიანთს თავს კითხვას: რას მისდევს „დროება“, ან რა ძირითადი მიმართულება აქვს იმ ერის წინაშე, რომლის თანაგრძნობის წყალობით ის მუშაობს, რომლის გონების ნაყოფიც არის?

დღემდის ჩვენს საზოგადოებაში, ჩვენს კავკასიის აქეთა მხარის ქვეყნებში რაც ძალა და გარემოება მუშაობდა, არც ერთს მკვიდრი ფერი, არც ერთს მკაფიო სახე არ დასჩნევია. მრავალ ნაირი გარემოებანი მუშაობდენ, მაგრამ არევ-დარევით, გაურკვევლათ, ყოველი ძალა, ყოველი გულითადი მოსაზრებული პრინციპი, თუ კი რომ იმას ასპარეზობისოდენი ძალაც ქონდა, მუშაობდა, და შეჰქონდა ჩვენს ქვეყანაში თავისებური კვალიც.

არავინ კითხულობდა, თუ ეს ცვლილება რისი შემძენია, ნამდვილათ კეთილის მომტანია, ნამდვილათ ხალხის შესაფერი ნაყოფის გამოღებაა, თუ ძალისაგან შეტანილი გარემოება და ცვლილება სულ სხვა ერისა და ფერის არის, ხალხზე გადაცმული, ხალხის გზის გამომცვლელი?

„დროების“ რედაქცია ამისთანა კითხვების განხილვაში ვერ შევიდოდა, თავის მიმართულების თვალსაჩინოთ გამოხატვა არ შეეძლო, ერთი იმისთვის, რომ მკითხველებიც არ ჰყავდა, მეორე იმისთვის რომ თვალ-საჩინათ მოქმედებისათვის გარემოებაც არ სწყალობდა.

პირველად რომ „დროება“ გამოვიდა, იმის მოქმედების ასპარეზი არც კი არსად იყო, იმის მკითხველებს ევროპის სახელმწიფოების არსებობა არც კი არსად ეგონათ. მომეტებულმა ნაწილმა იმის მკითხველებისამ არც კი იცოდა, თუ ქვეყანაზე ინგლისელებსა და ფრანცუზებს გარდა სხვა უცხო ქვეყნის ხალხები კიდევ იყო. მომეტებულმა ნაწილმა „დროების“ მკითხველებისამ არც კი იცოდა, თუ როგორ უნდოდა გაზეთის კითხვა: მოწინავე სტატია რომელი იყო, ან ფილტონი რომელი; დაიწყებდა, ბატონო, ზოგი „დროების“ მკითხველი სათაურიდან და ერთი სვრელიდან მეორე სვრელზე ისე ჩაიბულბულებდა, რომ იმისთვის არც წერტილი იყო, არც ხაზი, არც ხაზი, არც შესვენება; მოწინავე სტატია, ფელტონი-მელტონი, ტელეგრამმა და განცხადება სულ ყველას ერთმანეთზე მიაწყობდა და მოათავებდა. იმ დროს იმის თავში გაზეთის ამბები და აზრები ფერად-ფერად თაიგულსავით გამოსჭვიოდა. შესანიშნავი ეს იყო, რომ „დროების“ მკითხველებს კითხვა ჰსურდათ და აზრის გაგების წადილი ჰქონდათ.

ამისთანა გარემოებაში ჩაყენებულს „დროებას“ დიდი ხანი სჭირდებოდა, რომ ჯერ მხოლოდ ჩვენი საზოგადოებისათვის თავი შეეყვარებინა, კითხვას და ამონაკითხის გაგებას მკითხველები მიეჩვივნა.

ამისთვის ორი და სამი წელიწადი კი არ იყო საკმაო, ამას სჭირდებოდა ათი და თორმეტი წელიწადი.

ამ დროს განმავლობაში „დროების“ მოვალეობა ის იყო მხოლოდ, გონებითი საზდო მიეცა ჩვენი ხალხისა და საზოგადოებისათვის, ბევრი ყოფილიყო, თუნდა ცოტაც, ოღონდ კი საზდო ყოფილიყო, ხალხს კითხვის მასალა და პოლიტიკური ამბები არ გამოლეოდა. რა დროს თავის განკერძოებულს აზრებზე, პროგრამმაზე და მიმართულებაზე ლაპარაკი იყო, რომ ხალხს მხოლოდ თვალის ახელა და ცნობის შეძენა ჰსურდა მორეულსა და მახლობელს ხალხებზე! ამ დროს განმავლობაში „დროებას“ თავისი მუყაითობით და ბეჯითობით საასპარეზო ნიადაგი უნდა შეემუშავებინა. იმას უნდა მოემზადებინა მისი მკითხვე-

---

ელენე. ვერ გიჩვენებთ, ამიტომ რომ ვერას გაიგებთ.

ქალი. როგორ თუ ვერას გავიგებ! ახლავ მაჩვენე, თორე თავზე გადაგაფხრეწავ. ვინ იცის—ვინ ოხრი გან მოგივიდა! მაშ მე ვერ უნდა შევიტყო!

ელენე. გეუბნებით ვერ შეიტყობთ და სულ სხვა ნაირათ ახსნით ამ წმინდა აზრებს, რომელიც ამ წერილშია გამოცხადებული.

ქალი. მამე, თორე დღეს დაგაწვარეფ!. (წასწვდება წასართმევათ).

ელენე (წერილს უბეში ჩაიდებს). გთხოვთ შორს დასდგეთ. ძალის გზით შეგიძლიანთ დღე დამიმწაროთ, მანამ თქვენ ხელში ვარ, მაგრამ ჩემ გულში ჩამოხედვის ნებას კი არ მოგცემთ.

ქალი. აქ მომეც, თორე სახლში აღარ შემოგიშვეფ!

ელენე (საათს დახედავს). ხუთი საათია, დროა შკოლაში წასვლისა, უროკზე დამიგვიანდება, გზა მიბოძეთ გავიარო.

ქალი. მანამ წიგნს არ წავიკითხავ, გარეთ ვერ გახვალ.

ელენე. არაოდეს. გამატარეთ.

ქალი (მივარდება). გულს გამოგაგლეჯავ, შე აშარო, შე უნამუსო!

ელენე. გეუბნებით კმარა, გზა მიყავით.. (დაუჰერს ხელებს, იქით მიაყენებს და გარეთ გავარდება).

ქალი (გამოუდგება). ხედავთ ამ აშარს რას მიშერება! ღამის ხელიდგან არ გამექცეს.. აი მოკვდი, გაწყდი, ცეცხლი მოგეკიდოს, შე აჯილლავ შენა! (გავა).

II

ფეფო (შემოვა, ანთებს სარკესთან სანთლებს და ლაპარაკობს). ღმერთო, როდის მეღირსება, რომ ჩემი პატარა ქალბატონი გათხოვდეს. მაშინ უყურეთ ფეფოს, თუ რა რიგათ მოვიპრანჭები! ისეთ პრიჩოსკებს გავიკეთებ, კრასავიცას დავემგვანო.. შენაცვალე ჩემ ელენეს, რა თავისუფალი ვიქნები, რა ტანციებს გავმართავ. (აიწევს კაბის კალთებს და თამაშობს). ტრა-ლა-ლა! ტრა-ლა-ლა!. როდის მოკვდება ქალალა. არა დასწყევლოს ღმერთმა, გულის ძილში რომ ვიყო, მამაგლიჯავს ხორცს და ამ გულგახეთქილზე ცივ-ცივ წყალს დამასხამს. საქმეში ხომ არ ჩამაფერხებს. ტყვილათ კი არ არის ნეთქვამი: სომეხს რომ საქმე გამოელევა, მოსასახურეს ქვას გაუგორებს და უკან გამოუყენებსო. იმ დღეს საგორავი ქვა ეყიდნა და მთელი დღე ბანი მატკეპნინა. ელენეს ხათრი რომ არა მქონდეს, ერთ დღესაც არ დავდგები. ელენე კი ყოველთვის მე მესარჩლება. იმ დღეს დიდმა ქალბატონმა მცემა და ელენე წეეჩხუბა, შენ ნება არა გაქვს გოგოსა სცემოო, ესეც ისეთი ადამიანია, როგორც შენაო. ღმერთო, რა ანგელოზია! ნეტა ყველა უნცროს-უმფროსობაში ასეთი განსხვავებაა? (თან თავს ისწორებს).

პაველე (შემოვა). გოგოჯან, რას იპრანჭები, მე ეგრეც მომწონხარ.

ფეფო. ახლა მეცა მკითხე მომწონხარ თუ არა.

პაველე. ეგ საჭირო არ არის. ქალბატონი მყავდეს ცოცხალი, თორე შენ მოუწონებლივაც შეგირთავ. ან არა და, ფეფოჯან, რითი მიწუნებ? მაგიჟებით არ მიყვარხარ თუ? ღმერთმა ხომ იცის, შენ რომ გვერდით გამივლი ხოლმე, ჩემი გული ძაგძუგით ლამს გამამვარდეს.

ფეფო. ოჰ ნეჟნო, შენი ცარიელი სიყვარული! შენი შალის ჩოხა კი არ დამახარბო.

პაველე. ოო, ვიცი შენ რაც მოგწონს: იმ მყრალი იმერლის მაუდის ჩოხა, იმის ჭრიალა წაღები და გაქონილი თავი!

ფეფო. არა შენმა მზემ, შენ გიგავს იმას ვერცხლის ქამარ-ხანჯალი და საათი! შე საცოდაო არც კი იცი სასმელია თუ საჭმელი საათი!. (გამოიჭიმება). ერთი იმის „ჩევო იზვოლიტე, ბარინ“ სულ გაგჟიდის და გიყიდის.

პაველე. კიდეც ეგ ჩევო იზვოლიტე დაგიყენებს თვალებს, იმერეთში რო გადგიყვანს და მჭადით ამოგიყორავს მუცელს და იფნის სახრით დაგიზელავს გვერდებს.

ფეფო. მამა გინცხონდა შენცა და იმასაცა. მე ხელსაც ვერავინ მახლებს. ქალაქის გზა ველარ გავიგე, საცა კი მივიდე ქალაქში, თვეში თუმანი ჩემთვის გალესილია.

პაველე. მაშ ისევ იმერელს წაჰყე. ისინი არიან აჩვეული ქალაქში ცოლების გასტუმრებას.

ფეფო. გასქდი, მოკვდი, იმას წავყვები იმას! ეგრე თვალებს დაგაბრეცინებ, ქალამნებიანო!

ლი საზოგადოება იმ ზომამდის, რომ თვითონ ამ საზოგადოებას გულის წადილის გაგება შესძლებოდა, თვითონ გამხდარიყო იმ საზოგადოების, იმ ხალხის აზრის და მიმართულების ნამდვილი გამომხატველი, რომლის გამოღვიძებისათვის „დროება“ მუშაობდა.

თავისმა მეცადინეობამ ბოლოს „დროება“ დააგვირგვინა. დღეს იმას მკვიდრათ აქვს ხალხში ფეხი ჩადგმული, იმას აქვს თავის ნიადაგი, იმას ჰყავს თავის მკითხველები, თავის მომსმენელი და ბინდათ გამოთქმული აზრების გამგები და გამომცნობელი.

რაკი ამ დრომდის მოვაწიეთ, დღეს ჩვენც გვინდა ჩვენს მკითხველებს ჩვენი გულის წადილი, ჩვენი მიზანი ისე ცხადათ დავუხატოთ, რამდენათაც ამის ნებას გარემოება და გარემოების დამდგენელი ძალა მოგვცემს.

კავკასიის აქეთა მხარეში ჩვენს საქართველოს ხალხს და იმის მოგვარე კავკასიის მთიულებს ისტორიის დაარსებიდან აქამდის არ დაჰკარგვიათ არც თავისი მნიშვნელობა და თავისი ხვედრი. იმ თავიდგან საქართველოს ხალხი კავკასიის აქეთა მხარეში ყოველთვის მოწინავე მებრძოლი ყოფილა თავის გვაროვნებისა და თვითარსებობის დასაცველათ. ნუ თუ ჩვენ აწ, როცა ჩვენი მზის ამოსვლაც ახლოს არის, მაშინ უნდა ვუმტყუნოთამ ჩვენს დანიშნულებას?

მაგრამ ამ დანიშნულების ასასრულებლათ ჩვენ ძველითგანვე დღემდის ერთი დიდი ნაკლულევანება დაგვდევნებია თვალ-ბედითს შავს ყორანსავით: აქამომდის ვერ შეგვიტყვია — ვინ არის ნამდვილი ჩვენი მეგობარი და ვინ არის გარეშე. აი ამ უმეცრებამ, ამ გაუტანლობამ მეზობლობაში დაგვცა ჩვენ; ამ უგულისხმობამ ამოგვაგდო ჩვენ წარსულს დროებში.

ეს პოლიტიკური უმეცრება დღესაც გვირღვევს ჩვენს საპოლიტიკო ასპარეზს, ჩვენს მკვიდრს ნიადაგს.

ვინ არიან ჩვენი მკვიდრი მეზობლები, ურომლისოთაც არ შეგვძლებია ჩვენ ჩვენის პოლიტიკური საძირკვლის გასკვნა წარსულში? ვინ არიან ისინი, რომელნიც მთელი ისტორიის განმავალობა ჩვენთან ან ერთს ტაფაში ხრაკულან, ან და ძველიდგან ჯერ ჩვენი მჩაგვრელები ყოფილან, მაგრამ შემდეგ კი ჩვენთან თანასწორი ბედი რგებიათ და დღეს ჩვენი ბედის მოზიარე და ჩვენი სრული თანამგრძნობელიც გამხდარან?..

დღეს კავკასიის აქეთი მხარის ნიადაგი სამს მკვიდრს განათლების მიმდევნელს ხალხს უჭირავს: ქართველ კავკასიის ტომს, სომხის და თათრის ტომს. ეს სამი ტომი დღეს კავკასიის აქეთა მხარეში მკვიდრი მოსახლენი არიან, ერთმანეთის დახმარებით აშენდებიან, ერთმანეთის მტრობით კი დაიქცევიან.

ჩვენი მომავალი მიმართულების განმარტება მკითხველების თვალწინ შეეხება ამ სამი მეზობლური ტომის ურთიერთს დამოკიდებულებას და იმ გარემოების ახსნას, თუ ჩვენ რა გვარი კავშირი და მეზობლობა უნდა გავმართოთ იმათთან.

გ. წერეთელი

(შემდეგი იქნება)

---

## დღიური

**თუ ახსოვს მკითხველს, ჩვენ ვიკითხეთ ამას წინეთ — თუ [illegible] გა იმ კომისიამ, რომელიც შარშან წინ, მარშლების ამორჩევის დროს, ამოირჩია თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ იმისათვის, რომ იშუამდგომლოს უმაღლესს მთავრობასთან, რომ ბაქო-თფილისის რკინის გზა კახეთზე იყვეს გამოყვანილი.

ჩვენ მივიღეთ ახლა ცნობა, რომ ეს კომისია სრულებით უსაქმოდ არ ყოფილა; იმას მოუწვევია ზოგიერთი აქაური ინჟინრები (სხვათა შორის უფ. სტატკოვსკი და ზერაევანოვი) და უკითხავს ამათთვის რჩევა — ექმნება კახეთზე გზის გაყვანას რამე დაბრკოლება (ტეხნიკური ან ფინანსიური), თუ არაო? ინჟინრებს ერთხმად გამოუცხადებიათ, რომ კახეთზე გზის გაყვანას ბევრი დაბრკოლება ექნებაო როგორც ტეხნიკური, აგრეთვე ხარჯის მხრივაო, ცუდი ადგილებია, მთები და ხევებიო, ერთობ ბევრი ფული დაიხარჯებაო, და ამიტომაც მთავრობამ არ გვგონია, ეს მიმართულება მისცეს ბაქო-თფილისის რკინის გზასაო.

ამის გამო ხსენებულ თავად-აზნაურობისაგან არჩეულ კომისიას გარდაუწყვეტია, რომ აღარ იშუამდგომლოს ამ საგნის შესახებ უმაღლესის მთავრობის წინაშე; და სულ ეს გარემოება მოახსენოს თავად-აზნაურობის მომავალ საზოგადო კრებას.

ჩვენ გვგონია, რომ ამ შემთხვევაში კომისია რიგიანად ვერ მოქცეულა. თუ კახეთზე გზის გაყვანას არავითარი დაბრკოლება არ ჰქონოდა, მაშინ ხომ

---

**პავლე.** სუ თორე მოგკლავ! (წასწვდება ფეფოს. (ფეფო სტოლს მიეჯახება და სტაქანს გადმოაგდებს. ამ ხმაზე კნენა მალია გამოვარდება (ცოცხით ხელში).

**მალია.** რაო, რა ამბავია? ჩემი სახლი თქვენ დაგრჩათ? სუყველა უნდა დაანგრიოთ და დაამტვრიოთ, გადით, გადით, თვალით არ დამენახოთ!

**პავლე.** ქალბატონო, სულ მაგის ბრალია (გოგოზე)...

**მალია** (გამოუდგება გოგოს. ფეფო დარბის სცენაზე). შე ურცხვო, შე უნამუსოვ, შე უჯიშოს გაზრდილო! შენც შენი ქალბატონი გამიხდი, უნდა თავზე დამაჯდე! ორ-ორი სანთელი აგინთია და ჩემი სახლი ბიჭებთან საარშიყოთ გაგიხდია! დაკოდნოფ, შე უნამუსოვ, სისხლს გაგიშროფ, სისხლსა! (ფეფო გავარდება).

**მალია.** ზაგიგონიათ ეს ამბავი? მოსამსახურეს ზალაში რა უნდა? ეს სულ ჩემი ქალის ამბავია. დაქცეულიყო ის დღე და საათი, როდესაც მე ის პენციონში მივეცი. ეხლა სულ ახალ-ახალ პლანებს მიწყობს, მოსამსახურე და ქალბატონი სულ ერთიაო, ორთავეს სულ ერთნაირი სული უდგათო, ერთნაირი სისხლი უტრიალებთ გვამშიაო. ჰაი და ჰაი! დიდ ალაზეურქანთ ქალსა და მუჯუ ფეფოას ერთ ნაირი სისხლი უტრიალებთ გვამში. შეილო, თუ ეგრეთი უმგზავსი გამოხვიდოდი, მუცელში გასწყალებოდი დედა შენსა...

**ელენე** (შემოვა). დედა, რაზედ აჩხლობთ?

**მალია** როგორ თუ ვანჩხლოფ! შენ როგორ მიბედავ მაგ სიტყვას ანჩხლო ფეჰა!

**ელენე** მომიტევეთ. ნუ ყვირით, სტუმარი მოვიყვანე, რას იტყვის, უცხო კაცია.

**მალია** უცხოა! ეგ კარგათ ვიცი, შენ მაინც სულ უცხოებზე გიჭყეტია თვალები. იმათთან რუსული ლიჯლიჯიათას ჩემისთანა დედას გარჩევნიან!

**ელენე** გეხვეწები, დედა, ცოტას ხანს კიდევ მოითმინეთ, სტუმარია, გარეთ იცდის, ნუ შემარცხვენთ.

**მალია.** როგორ თუ სტუმარია? რა დროს სტუმარია, მე არა მესტუმრება რა, ცხრა საათია, მოხუცი ვარ, უნდა დავიძინო, იქით გადი, სანთელი უნდა გავაქრო!

**ელენე** ნუ, შენი ჭირიმე, დედა გენაცვა, ნუ შემარცხვენ. ეს ერთი კიდევ მოითმინეთ ჩემი შეწუხება და თუ ჩემთან ცხოვრება აღარ გინდათ, მაგაზე მერე მოვილაპარაკოთ.

**მალია** არა და არა! მე ჩემ სახლს აფიცრების საჯოგეთ არ გავხდი! აქამდინ თავ-დაცული ვყოფილვარ და არც ეხლა შეგარცხვენინეფ თავს. წადი, შენ თითონ გაჰყე, საცა გინდა. იქით-მეთქი, სანთელი უნდა გავაქრო! ან შენ ჩემ ნებაზედ უნდა მოიქცე და ან თვალიდგან დამიკარგო.

**ელენე** დედა, საკმაოა თქვენგან ჩემი ამდენი ტანჯვა! მეტი მოთმინება აღარ შემიძლიან და არ ვიცი რისთვის ლა უნდა მოვითმინო. რისთვის უნდა გავაჩუმო ჩემი ყოველი გულის თქმა! იმიტომ რომ თქვენ მუახლეთ გავხდე, იმიტომ რომ ყოველივე კაცობრიული თავისუფლობა დავკარგო და ყოველს წამს თქვენგნით ამ ჯოჯოხეთში ვეგდო? არა, მე ამ ცხოვრებას სიკვდილს ვარჩევ. მშვიდობით. მე წავალ სხვა გზაზედ, და არც მგონია ჩემმა არჩეულმა გზამ ცუდ სამზღვარზე გამიყვანოს. მადლობა ღმერთს, ბედს ჩემთვის იმოდენა შეძლება მოუცია, რომ შემიძლიან სწავლა გავაგრძელო და ადრე თუ გვიან სრულს თავისუფლებას მოვეწიო. საკმაოა იმ პირების დალუპვაც თქვენგნით, რომლებსაც არ შეუძლიანთ თქვენთან, ძველებთან, არც ზნეობით და არც მატერიალური შეძლებით ბრძოლა.

**მალია.** წადი, წადი! იმ ეთ გზაზედაც წასულხარ, რომელზედაც მამა ჩემმა და მამა შენმა გაიარეს...

ე. ზ.—სა

თვით მთავრობაც პირ-და-პირ, ჩვენ-და უთხოვნელად და შეუხვეწებელად გაიყვანდა ამ გზას; მაგრამ საქმეც ეგ არის, რომ დაბრკოლება აქვს და ამიტომაც შეიძლება აქეთ არ გაიყვანონ. ამიტომაც იყო და არის საჭირო თხოვნა და შუამდგომლობა, რადგან მთავრობა შეუძლია ეს თხოვნა შეიწყნაროს..

*** ეს მესამე დღეა, რომ ჩვენს ქალაქში ნამდვილი, ზამთრული ზამთარი დადგა; გუშინ და დღეს თითქმის გაუწყვეტლივ თოვს ასე, რომ დღეს, ოთხშაბათს, ქალაქში ერთ არშინზე მეტი თოვლი სძევს.

ამ გარემოებამ ისევ გააძვირა ქალაქში ყველაფერი. შეშა, სხვათა შორის, ურემი, რომელიც ადრე, თოვლის მოსვლამდინ, 5-6 მანეთად ისყიდებოდა, ახლა თუმნად-თორმეტ მანეთად იყიდება.

*** ჩვენ შევიტყვეთ ერთი სანდო პირისაგან, რომ რუსეთში ერთი პატივცემული და სახელოვანი პირი, როგორც საზოგადო მოქმედი, აპირებს ერთის დიდის პროექტის სისრულეში მოყვანას. ის აპირებს არაგვის გადმოჭრას და მცხეთიდგან გადმოყვანას, რომლითაც უნდა მოირწყას მინდვრები მცხეთიდგან ქალაქამდის. აგრეთვე ქალაქის გაღმა მხარე, ჩუღურეთის სერებიც მოაშენოს ტყით, და ამნაირად თვითონ ტფილისშიაც გამოიყვანოს არაგვის წყალი.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ თუ რამე ღონის-ძიება არის, ეს პროექტი სისრულეში მოვა, რადგან ისეთი პირი კისრულობს ამ საქმეს, რომელიც უთუოდ ბოლოთ არ მოყვება ცუდ-უბრალოდ ლაპარაკს.

---


# განცხადებანი

## ქალაქის გამგეობისაგან

# განცხადება

**ტფილისის ქალაქის გამგეობა,** XIII ტომის საქ. პოლიც. წესდების 846 და 848 მუხლების ძალით, წინადადებას აძლევს ყველა ქალაქის სახლის-პატრონებსა და აგრეთვე ყველა იმ უწყებებს, რომელთაც რაიმე უძრავი ქონება აქვთ ქალაქში, რომ, რადგან დიდი თოვლი მოვიდა და ქალაქის გამგეობას არა აქვს იმდენი საშუალება, რომ ბანების, სახურავებისა და ქუჩების გაწმენდა შეიძლოს, ამის გამო ამ სახლის პატრონებმა უნდა იზრუნონ და გაწმინდონ თავიანთი სახურავები, ბანები, ტროტუარები და ქუჩები სახლისა და ეზოების წინ და ეს თოვლი უნდა გაიტანონ ხევებში და მტკვრის ნაპირას. ქალაქის გამგეობა კი ყველა თავის საშუალებას და ღონის-ძიებას იმაზე მოიხმარებს, რომ მოედნები და ხიდები გაწმინდოს თოვლისაგან.

2—1

---

მიიღება ხელის-მოწერა ჟურნალზე

**„ОБЗОРЪ ГРАФИЧЕСКИХЪ ИСКУССТВЪ“**

(Журналъ печатнаго дѣла)

წელიწადში ეს ჟურნალი ღირს: გაუგზავნელად—4 მან., გაგზავნით—5 მან. მდიდრული გამოცემა, ჰოლლანდიის კარგს სქელს ქაღალდზე—წელიწადში 15 მანეთად.

**ხელის-მოწერა** მიიღება ტფილისში, უფ. სტ. ბ. მელიქიშვილთან, საკუთარს ტიპოგრაფიაში, ბანოვის ქუჩაზე, ანუ პეტერბურღში ხსენებული ჟურნალის რედაქციაში: ნევის პროსპექტზე, № 5.

(3—2)

---

**კირუტყვთ მფარველობის საზოგადოების** წევრნი და [illegible] ყველანი, ვისთვის აც ეს საგანი [illegible], მოწვეულნი არიან [illegible] ამ საზოგადოების საერთო კრებაზედ, ამ იანვრის 20-ს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების სადგომში, ალექსანდროვის ბაღში, ბარიათინსკის ქუჩაზე.

ამ კრებაზე არჩეული უნდა იქმნენ საზოგადოების თავმჯდომარე და იმის თანაშემწე, წაიკითხავენ აგრეთვე წარსული წლის ანგარიშს საზოგადოების მოქმედებისას და განიხილვენ ზოგიერთ სხვა საგნებსაც.

(3—2)

---

# გასყიდვა

## ფას მოუკლებელად

რადგან წვრილად ვაჭრობა მოვსპეთ და ერთად, ნარდათ ვაჭრობა დავიწყეთ, ამის გამო დანიშნულია **გასყიდვა** იაფ ფასად მანეთზე 25 კაპეიკის დაკლებით სხვა და სხვა საქონლისა: კრეპი, არდაგანი, მატლასე, რეპსი, ფაი, ყარსი, კრეპსე, კაშმირი შავი—75 კაპეიკიდამ 2 მან. 30 კაპ. შავი ალპაგა—35-75 კაპეიკამდინ, მაუდის შალები—3 მან. და 25 კაპ. 7 მან. 37 კაპეიკამდინ, ხავერდის ხალიჩები, პერანგები ტილოსი და სხვ. და სხვ.

თამამშოვის ქარვასლაში, ზემო ეტაჟში, გასტინიცის, „კავკაზის“ პირ-და-პირ, №№ 10 და 11.

მაღაზია მალაკოვისა

(3—2)

---

# „ჰაეროსტატი“

კაედია ოთხ-მოქმედებად, თხზულება მ. ჯორჯაძისა


| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 68 | - | 38 |
| გორი . . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 2 | 40 | 1 | 33 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 3 | 92 | 2 | 18 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 42 | 2 | 46 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 5 | 81 | 3 | 23 |
| რიონი . . . | 6 | 57 | | | 6 | 75 | 3 | 75 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 7 | 73 | 4 | 29 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 8 | 57 | 4 | 76 |
| ფოთი . . . | 9 | 50 | | | 9 | 75 | 5 | 42 |
| ფოთი . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი | 10 | 14 | | | 1 | 18 | - | 6 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 6 | 1 | 14 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | | 1 | 69 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 3 | 96 | 2 | 21 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 5 | 33 | 2 | 96 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 5 | 84 | 3 | 24 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 7 | 36 | 4 | 9 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 9 | 8 | 5 | 4 |
| ტფილისი . . | 9 | 31 | 7 | 56 | 9 | 75 | 5 | 42 |

| ტელეგრაფი | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა ტფილისიდამ: | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავას . . . . | 2 | — |
| ოსმალეთს, შვეიცარიაში. | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში . . . . . . . . | 3 | 75 |

**ფოსტა**

ა) ტფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.— პარასკ. და ორშ. კახეთს — სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: ტფილისისა და ფოთის კენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს — ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ. |
|---|---|
| ლია წიგნი . . . . . . . . | 4 |
| დახურულის (ხომი მისხალი) . | 8 |

| მაზანდა | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ტფილისი, 15 იანვარს. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა, ფთ. | 1 | [illegible] |
| ფქვილი წითელი . . . | 1 | 45 |
| ქერი ფუთი . . . . . . | 1 | 30 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი . | 7 | 50 |
| — ამერიკისა, ფუთი . . | 8 | 30 |
| ბაპენტილი ბამბა ფუთი. | 9 | 80 |
| მატყლი თუშური ფუთი | 7 | 50 |
| — თარაქამისა ფუთი . . | 4 | 70 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. . | 2 | 10 |
| ქონი, ფუთი . . . . . | 5 | 40 |
| ქონის სანთელი ფუთი . | 7 | 60 |
| სტეარინის სანთელი, ფთ. | 12 | 80 |
| ხორცი ძროხისა, ლიტ. | — | 90 |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | 90 |
| სპირტი ვედრო . . . . | 4 | 60 |
| შაქარი, ბროც. ფუთი . | 7 | 30 |
| —ფხვნილი ფუთი . . . | 6 | 40 |
| კავა გრგვალი, გირვ . . | — | 70 |
| ჩაი ქუნჯუთისა ფუთი | 12 | 80 |
| თამბაქო, საშუალო ფთ. | 6 | 80 |

**ტფილისის სამკურნალო.**

ერევნის მოედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველს დღე დილის 9 საათიდამ 1-მდინ.

**ორშაბათს:** ვერმიშევი და ბარტლევიჩი—შინაგ. სნეულ., ქიურჩარიანცი—საჯარო ექიმი და საშვილოსნო ოპერაციები.

**სამშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ა. ბ ხუტოვი—სნებით და ბავშვის, პეუნოვი—თვალის.

**ოთხშაბათი:** ვერმიშევი შინაგანი.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ., ქიურჩარიანცი—იფილიტიკური და საშარდე ორგანების.

**პარასკევს:** ვერმიშევი-შინაგ., ა. ბახუტოვი—სნებით ქალისა და ბავშვების.

**შაბათს:** ვერმიშევი შინაგ., და პეუნოვი—თვალისა.

Дозволено цензурою. Тифлисъ 17 Генваря 1879 г. Типографія Меликова. გამომცემ. ს. მელიქიშვილი, რედაქტორი ს. მესხი.